კომპანიის შემოსავალი ძირითადად წარმოიქმნება საქონლის რეალიზაციიდან. შემოსავლების ასახვა ხდება იმ შემთხვევაში, როდესაც კომპანიაში ეკონომიკური სარგებლის შემოდინების ალბათობა მაღალია და შესაძლებელია მისი სანდო შეფასება განურჩევლად იმისა, თუ როდის განხორციელდა გადახდა. შემოსავლების შეფასება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების სამართლიანი ღირებულებით, გადახდის ხელშეკრულებით განსაზღვრული ვადების გათვალისწინებით და გადასახადებისა და მოსაკრებლების გამოკლებით. შემოსავლების აღიარებამდე დაკმაყოფილებული უნდა იქნეს აღიარების სპეციალური კრიტერიუმები.

პროდუქციის რეალიზაციიდან მიღებული შემოსავალი

პროდუქციის გაყიდვიდან მიღებული შემოსავლის აღიარება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულების მიხედვით. საქონლის გაყიდვის შედეგად მიღებული

შპს „ინერტული მასალები“

ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნები

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

(ქართულ ლარში)

2. მომზადების საფუძველი და სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

პროდუქციის რეალიზაციიდან მიღებული შემოსავალი (გაგრძელება)

შემოსავლის აღიარება ხდება მაშინ, როდესაც კომპანია მყიდველს გადასცემს საქონლის საკუთრებასთან დაკავშირებულ ყველა მნიშვნელოვან რისკს და სარგებელს, შესაძლებელია შემოსავლის საიმედოდ შეფასება და ასევე, შესაძლებელია მოცემულ ოპერაციასთან დაკავშირებული უკვე გაღებული ან მომავალში გასაწევი ხარჯების საიმედოდ შეფასება.

ხარჯების აღიარება

ხარჯების აღიარება ხდება მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, თუ წარმოიშობა მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირება, რაც დაკავშირებულია აქტივის შემცირებასა ან ვალდებულების ზრდასთან, რომელიც შეიძლება საიმედოდ განისაზღვროს.

ხარჯები გაწევისთანავე აღიარდება მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, თუ ხარჯებისგან ეკონომიკური სარგებლის მოტანა მომავალში აღარაა მოსალოდნელი, ან თუ მომავალი ეკონომიკური სარგებელი აღარ აკმაყოფილებს ბალანსში აქტივად აღიარების კრიტერიუმებს. კომპანია თავისი ძირითადი ოპერაციების განხორციელებისას ახდენს როგორც საოპერაციო, ასევე სხვა ხარჯების გაწევას, რომელიც პირადად არ არის დაკავშირებული პროდუქციის რეალიზაციასთან.

დაქირავებულ პირთა გასამრჯელოები

კომპანია დაქირავებულ პირთა გასამრჯელოებს მიაკუთვნებს იმ ანაზღაურებულ თანხებს, რომელთა გადახდა მთლიანად ხდება იმ წლიური საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვეში, რომლის განმავლობაშიც და ქირავებული პირები გასწევენ შესაბამის მომსახურებას:

- ხელფასები
- წლიური ფასიანი შვებულება და ბიულეტენის ანაზღაურება
- არაფულადი გასამრჯელოები არსებულ დაქირავებულთა პირთათვის

ხელფასები, ბონუსები და არაფულადი სარგებელი აღიარდება დარიცხვის მეთოდით იმ პერიოდში, როდესაც შესაბამისი სერვისი მიიღო კომპანიამ დასაქმებულისგან. კომპანიას არ გააჩნია რაიმე იურიდიული ან კოსტრუქციული ვალდებულება, გასცეს პენსია ან მსგავსი გადახდა განახორციელოს. კომპანია ჩართულია სახელმწიფო საპენსიო ფონდში.

საპროცენტო შემოსავალი და ხარჯი

საპროცენტო შემოსავალი და საპროცენტო ხარჯი აისახება ყველა ფინანსურ ინსტრუმენტთან მიმართებაში დარიცხვის პრინციპის საფუძველზე ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მიხედვით დისკონტირდება მომავალში მისაღები ან გადასახდელი სავარაუდო ფულადი სახსრები (ყველა მიღებული, ან გადახდილი საკომისიოს, გარიგებების ხარჯებისა და სხვა ფასნამატებისა და დისკონტირების ჩათვლით) ფინანსური ინსტრუმენტების მოსალოდნელი მომსახურების ვადის განმავლობაში, ან ფინანსური აქტივისა თუ ფინანსური ვალდებულების წმინდა საბალანსო ღირებულების მოკლე პერიოდის განმავლობაში. საპროცენტო შემოსავალი და ხარჯი აღიარდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

მოგების გადასახადი

მოგებიდან გადასახადები წარმოდგენილია ფინანსურ ანგარიშგებაში კანონმდებლობის შესაბამისად, რომელიც ძალაშია ან არსებითად ძალაშია საანგარიშო პერიოდის ბოლოსთვის.

შპს „ინერტული მასალები“

ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნები

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

(ქართულ ლარში)

2. მომზადების საფუძველი და სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

მოგების გადასახადი (გაგრძელება)

2016 წლის 13 მაისს საქართველოს მთავრობამ ცვლილებები შეიტანა საქართველოს საგადასახდო კოდექსში, რომლის თანახმადაც კომპანიები (გარდა ბანკებისა, საკრედიტო გაერთიანებებისა, სადაზღვევო კომპანიებისა, მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა და ლომბარდებისა) არ იხდიან მოგებიდან გადასახადს მათ მიერ 2017 წლის 1 იანვრიდან მიღებულ მოგებაზე, სანამ მოგება არ განაწილდება ან მიიჩნევა დივიდენდის სახით განაწილებულად.

15% მოგებიდან გადასახადი გადახდას ექვემდებარება ერთობლივი ღირებულებით (ანუ წმინდა დივიდენდები გადაანგარიშდება 5% გადასახადის დაქვითვით, თუ შეესაბამება, და გაყოფილი 0.85-ზე) ფიზიკური პირებისთვის და არარეზიდენტი იურიდიული პირებისთვის დივიდენდის გადახდის მომენტში. რეზიდენტი იურიდიული პირებისთვის 2017 წლის 1 იანვრამდე მიღებული მოგებიდან გადახდილი დივიდენდი გათავისუფლებულია გადასახადისგან. 2008 წლის 1 იანვრიდან 2017 წლის 1 იანვრამდე დაგროვილ შემოსავალზე დივიდენდი ექვემდებარება მოგებიდან გადასახადს ერთობლივ ღირებულებაზე, შემცირებული შესაბამისი საგადასახდო შეღავათით, რომელიც გაანგარიშებულია, როგორც კორპორატიული მოგებიდან გადასახადის წილი, გაცხადებული და გადახდილი დაბეგვრად მოგებაზე მთლიანი წმინდა მოგების საპირისპიროდ იმავე პერიოდისთვის, გამრავლებული გასანაწილებელ დივიდენდზე. თუმცა, საგადასახდო შეღავათის ოდენობა არ უნდა აჭარბებდეს ფაქტობრივ მოგებიდან გადასახადს, რაც დაწესებულია დივიდენდის განაწილებაზე.

დამატებული ღირებულების გადასახადი

გაყიდვებთან დაკავშირებული დამატებითი ღირებულების გადასახადი გადახდილი უნდა იყოს საგადასახდო ორგანოებისთვის საქონლის და მომსახურების კლიენტისათვის მიწოდებისას. საგადასახდო ორგანოები დღგ-ს გადახდის ნებას რთავენ წმინდა საფუძველზე. ყიდვა-გაყიდვებთან დაკავშირებული დღგ აღიარებულია და ასახულია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წმინდა საფუძველზე. როდესაც მოთხოვნების გაუფასურებისთვის შექმნილია რეზერვი, გაუფასურების ზარალი აღირიცხება მომავალის მთლიან თანხაზე, დღგ-ს ჩათვლით

მიმდინარე და გრძელვადიანი მუხლები

კომპანიამ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში განცალკევებულად ასახა აქტივები და ვალდებულებები მიმდინარე/გრძელვადიანი კლასიფიკაციის საფუძველზე. კომპანიამ აქტივი განიხილა როგორც მოკლევადიანი თუ იგი:

- აქტივს ძირითადად ფლობს სავაჭრო დანიშნულებით;
- აქტივის ღირებულების რეალიზებას ვარაუდობს, ან მიზნად ისახავს მის გაყიდვას ან მოხმარებას ჩვეულებრივი საოპერაციო ციკლის განმავლობაში;
- აქტივის ღირებულების რეალიზებას ვარაუდობს საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ თორმეტი თვის განმავლობაში; ან
- აქტივი არის ფულადი სახსრები ან ფულადი სახსრების ეკვივალენტი, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მისი გაცვლა ან ვალდებულების დასაფარად გამოყენება შეზღუდულია საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ სულ მცირე თორმეტი თვით მაინც. სხვა დანარჩენი აქტივები კლასიფიცირებულია როგორც გრძელვადიანი აქტივები.

შპს „ინერტული მასალები“

ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნები

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

(ქართულ ლარში)

2. მომზადების საფუძველი და სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

მიმდინარე და გრძელვადიანი მუხლები (გაგრძელება)

ვალდებულება მოკლევადიან ვალდებულებად მიიჩნევა თუ:

- მისი დაფარვა მოსალოდნელია ჩვეულებრივი საოპერაციო ციკლის განმავლობაში;
- ძირითადად, გამოიყენება სავაჭრო დანიშნულებით;
- უნდა დაიფაროს საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ 12 თვის განმავლობაში; ან
- საწარმოს არ გააჩნია ვალდებულების დაფარვის გადავადების უპირობო უფლება, საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ სულ მცირე 12 თვის განმავლობაში

სხვა დანარჩენი ვალდებულებები კლასიფიცირებულია როგორც გრძელვადიანი ვალდებულებები

საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ მომხდარი მოვლენები

კომპანია ახდენს საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მაკორექტირებელი მოვლენების ასახავს მიმდინარე ფინანსურ ანგარიშგებაში, ხოლო არამაკორექტირებელ მოვლენებს მათი მნიშვნელობიდან გამომდინარე ამჟღავნებს ახსნა-განმარტებით შენიშვნაში.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო მსჯელობები, დაშვებები და შეფასებები

კომპანიის ფინანსური ანგარიშების მომზადება მოითხოვს ხელმძღვანელობისგან ისეთ შეფასებებს და დაშვებებს, რომლებიც გავლენას ახდენს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წარმოდგენილი აქტივებისა და ვალდებულებების ოდენობაზე და წლის ბოლოს სრული შემოსავლის ანგარიშგებაში წარმოდგენილ შემოსავალსა და ხარჯებზე. შეფასებებისა და დაშვებების გადახედვა ხდება უწყვეტად. ეს შეფასებები და დაშვებები ეყრდნობა წარსულ გამოცდილებასა და მრავალ სხვა ფაქტორს, რომლებიც გარემოებათა გათვალისწინებით მიზანშეწონილად მიიჩნევა. ფაქტობრივი შედეგები შესაძლოა განსხვავდებოდეს ამგვარი შეფასებებისგან სხვადასხვა დაშვებებისა თუ პირობების მიხედვით. ქვემოთ მოცემულია შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მნიშვნელოვანია კომპანიის ფინანსური მდგომარეობისთვის და ფინანსური შედეგებისთვის.

შეფასებები და ძირითადი დაშვებები გადახედვას ექვემდებარება უწყვეტად. სააღრიცხვო შეფასებების ცვლილებების ეფექტი აღიარდება იმ პერიოდში, როცა გადახედვა მოხდა თუ ცვლილება მხოლოდ ეხება იმავე პერიოდს ან თუ ცვლილება ეხება როგორც იმავე, ისე მომავალ საანგარიშგებო პერიოდს.

ხელმძღვანელობისგან მნიშვნელოვან შეფასებებსა და დაშვებებს მოითხოვს ძირითადი საშუალებების მომსახურების ვადებთან, მათ ნარჩენ ღირებულებებთან, ფინანსური აქტივების გაუფასურებასთან და გადასახადებთან დაკავშირებით.

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადები და ნარჩენი ღირებულება

როგორც ზემოთ აღინიშნა, კომპანია გადახედავს ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადებს და ნარჩენ ღირებულებებს ანგარიშგების ყოველი წლის ბოლოს. აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის და ნარჩენი ღირებულებების განსაზღვრისას, ხელმძღვანელობა განიხილავს მოსალოდნელ გამოყენებას, სავარაუდო ტექნიკურ მოძველებას, ფიზიკურ ცვეთას და გარემოს, რომელშიც ხდება აქტივის გამოყენება. ჩამოთვლილი პირობებისა თუ შეფასებების სისტემის ნებისმიერმა ცვლილებამ შეიძლება გამოიწვიოს მომავალი ცვეთის ხარჯის ცვლილება.

კომპანია აფასებს ფინანსური აქტივებიდან ფულადი ნაკადების გადაუხდელობის ალბათობას. შემდეგ მოცემული ალბათობა მრავლდება მოსალოდნელ დანაკარგებზე, რომელიც გამოწვეულია

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო მსჯელობები დაშვებები და შეფასებები (გაგრძელება)

ხელშეკრულების შეუსრულებლობის რისკიდან, რათა განისაზღვროს ფინანსური აქტივების მოსალოდნელი გაუფასურების დანაკარგი. მომავალ პერიოდთან დაკავშირებული განუსაზღვრელობებიდან გამომდინარე ფაქტობრივი შედეგი შესაძლებელია მნიშვნელოვნად განსხვავდებოდეს იმ შედეგისგან, რომელიც აღრიცხულია ფინანსურ ანგარიშგებაში.

გადასახადები

საქართველოს საგადასახადო და საბაჟო კანონმდებლობა ექვემდებარება, როგორც განსხვავებულ განმარტებებს, ასევე ხშირ ცვალეზადობას. შესაბამისად, საგადასახადო ორგანოების ხედვა კანონმდებლობის რომელიმე ნორმის მიმართ, რომელიც გამოყენებულია კომპანიის მიერ მისი საქმიანობის ფარგლებში და მასთან დაკავშირებული ტრანზაქციების საგადასახადო ადმინისტრირებისას, შესაძლოა არ მოვიდეს თანხვედრაში კანონმდებლობის ხელმძღვანელობის გაგებასთან. შედეგად, საგადასახადო ორგანოებს შეუძლიათ კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენონ ტრანზაქციები და დაარიცხონ დამატებითი გადასახადები, პირგასამტეხლოები და პროცენტები, რასაც შესაძლებელია ჰქონდეს მნიშვნელოვანი გავლენა. ხელმძღვანელობის რწმენით, შესაბამისი კანონმდებლობის მისეული ინტერპრეტაცია არის შესაფერისი და მოსალოდნელია, რომ კომპანიის საგადასახადო და საბაჟო პოზიცია იქნება მდგრადი.

შპს „ინერტული მასალები“

ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნები

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

(ქართულ ლარში)

4. წინა პერიოდის შეცდომის გასწორება

შეცდომის გასწორება

კომპანიის ხელმძღვანელობამ გაასწორა წინა პერიოდის ანგარიშგებაში შეცდომით წარდგენილი ინფორმაცია მარაგების საბოლოო ნაშთის თვითღირებულებასა და სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურებასთან მიმართებაში. 2023 წლის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას აღმოჩნდა, რომ კომპანიას არასწორად ქონდა გადანაწილებული 2021-2022 წლის ზედნადები დანახარჯები, ასევე კომპანიამ დააიდენტიფიცირა დებიტორებთან არსებული საექვო მოთხოვნები და აღმოაჩინა, რომ წინა პერიოდში საექვო მოთხოვნების შესაბამისი რეზერვი არ ქონდა აღიარებული. შეცდომები გასწორა ყველა ფინანსური ანგარიშგების შესაბამისი ელემენტების შესწორებით, რომელზეც ქონდა გავლენა ზემოთ ხსენებულ შეცდომებს, შემდეგნაირად:

გავლენა ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაზე

2022 წლის 31 დეკემბერი	წინა ანგარიშგების მიხედვით	მაკორექტირებელი შესწორება	კორექტირებული თანხა
მარაგები	367,030	213,928	580,958
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	91,199	(25,500)	65,699
გაუნაწილებელი მოგება	(202,901)	(188,428)	(391,329)

2022 წლის 1 იანვარი	წინა ანგარიშგების მიხედვით	მაკორექტირებელი შესწორება	კორექტირებული თანხა
მარაგები	343,830	87,217	431,047
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	211,254	(7,460)	203,794
გაუნაწილებელი მოგება	(69,500)	(79,757)	(149,257)

გავლენა მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაზე

2022	წინა ანგარიშგების მიხედვით	2021 წლის გადანაწილების ეფექტი	მაკორექტირებელი შესწორება 2022	კორექტირებული თანხა
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	(530,599)	87,217	126,711	(403,888)
არასაოპერაციო ხარჯი	-	(7,460)	(18,040)	(18,040)
გაუნაწილებელი მოგება	(202,901)	(79,757)	(108,671)	(391,329)

რეკლასიფიკაცია

კომპანია შესადარისი ინფორმაციის რეკლასიფიკაციას ახდენს, რათა შესაბამისობაში მოიყვანოს მიმდინარე პერიოდის წარდგენასთან.

რეკლასიფიკაციის ეფექტი ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაზე

2022 წლის 31 დეკემბერი	წინა ანგარიშგების მიხედვით	რეკლასიფიკაცია	რეკლასიფიკაციის შემდეგ
მიღებული სესხები (გრძელვადიანი)	851,747	(563,629)	288,118
მიღებული სესხები (მოკლევადიანი)	6,387	563,629	570,016

შპს „ინერტული მასალები“

ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნები

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

(ქართულ ლარში)

4. წინა პერიოდის შეცდომების გასწორება

რეკლასიფიკაცია (გაგრძელება)

2022 წლის 1 იანვარი	წინა ანგარიშგების მიხედვით	რეკლასიფიკაცია	რეკლასიფიკაციის შემდეგ
მიღებული სესხები (გრძელვადიანი)	248,975	(204,083)	44,892
მიღებული სესხები (მოკლევადიანი)	-	204,083	204,083

რეკლასიფიკაციის ეფექტი მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაზე

2022	წინა ანგარიშგების მიხედვით	რეკლასიფიკაცია	რეკლასიფიკაციის შემდეგ
ამონაგები	1,194,815	(202,886)	991,929
არასაოპერაციო შემოსავალი	-	217,824	217,824
მოგება კურსთაშორისი სხვაობიდან, წმინდა	-	41,957	41,957
ფინანსური შემოსავალი	56,895	(56,895)	-
სხვა ხარჯები	(332,559)	332,559	-
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	(530,599)	(300,855)	(831,454)
არასაოპერაციო ხარჯი	-	(1,534)	(1,534)
მოგების გადასახადის ხარჯი	-	(35)	(35)
ფინანსური ხარჯი	-	(66,928)	(66,928)
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯი	(255,151)	36,793	(218,358)

5. ახალი და განახლებული მსს ფასს სტანდარტი

2023 წლის 1 იანვარს ან ამ თარიღის შემდეგ ცვლილებები და ინტერპრეტაციები არ მომხდარა ანგარიშგებისა საერთაშორისო სტანდარტებში მცირე და საშუალო საწარმოებისთვის (მსს ფასს).

შპს „ინერტული მასალები“

ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნები

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

(ქართულ ლარში)

6. ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები 2023 და 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	მიწა	სატრანსპორტო საშუალებები	საწარმოო საშუალებები	მანქანა- დანადგარები	ოფისის აღჭურვილობა	კომპიუტერული ტექნიკა	ავიჯი და ინვენტარი	სულ
ისტორიული ღირებულება								
1 იანვარი 2022	14,500	-	8,297	846,332	331	1,673	4,492	875,625
შემოსვლა	-	-	-	1,095,487	-	1,589	127	1,097,203
31 დეკემბერი 2022	14,500	-	8,297	1,941,819	331	3,262	4,619	1,972,828
შემოსვლა	-	148,272	4,500	4,322	4,169	424	-	161,687
გასვლა	-	-	-	(395,603)	-	-	-	(395,603)
31 დეკემბერი 2023	14,500	148,272	12,797	1,550,538	4,500	3,686	4,619	1,738,912
დაგროვილი ცვეთა								
1 იანვარი 2022	-	-	(1,533)	(126,331)	(55)	(330)	(1,579)	(129,828)
ცვეთა	-	-	(1,439)	(106,091)	(46)	(276)	(1,442)	(109,294)
31 დეკემბერი 2022	-	-	(2,972)	(232,422)	(101)	(606)	(3,021)	(239,122)
ცვეთა	-	(2,798)	(1,504)	(136,022)	(136)	(569)	(1,297)	(142,326)
დაგროვილი ცვეთის ამობრუნება	-	-	-	3,976	-	-	-	3,976
31 დეკემბერი 2023	-	(2,798)	(4,476)	(364,468)	(237)	(1,175)	(4,318)	(377,472)
წმინდა საბალანსო ღირებულება								
31 დეკემბერი 2022	14,500	-	5,325	1,709,397	230	2,656	1,598	1,733,706
31 დეკემბერი 2023	14,500	145,474	8,321	1,186,070	4,263	2,511	301	1,361,440

შპს „ინერტული მასალები“

ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნები

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

(ქართულ ლარში)

7. ინვესტიციები

ინვესტიციები 2023 და 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

შვილობილი	დაარსების წელი	ინვესტიციის ოდენობა 12/31/2023	წილის ოდენობა	ინვესტიციის ოდენობა 12/31/2022	წილის ოდენობა
შპს ჯორჯიან როუდ მატერიალს	30/06/2022	403,892	50%	-	50%
სულ ინვესტიციები		403,892		-	

*კომპანიამ 2023 წელს თავის შვილობილ კომპანიაში განათავსა 27,000 ლარის ფულადი ინვესტიცია, ასევე შპს „ჯორჯიან როუდ მატერიალ“-ს გადასცა 282,892 ლარის ღირებულების ძირითადი საშუალება.

8. მარაგები

მარაგები 2023 და 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31 დეკემბერი 2023	31 დეკემბერი 2022
ნედლეული და მასალები	100,398	31,185
დაუმთავრებელი წარმოება	10,422	7,348
მზა პროდუქცია	813,505	521,539
სხვა	12,114	20,886
სულ მარაგები	936,439	580,958

9. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები 2023 და 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31 დეკემბერი 2023	31 დეკემბერი 2022
სავაჭრო მოთხოვნები	879,676	91,200
გაუფასურების რეზერვი	(55,533)	(25,501)
სულ სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	824,143	65,699

გაუფასურების რეზერვის მოძრაობა 2023 წლის 31 დეკემბრის და 2022 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის წარმოდგენილია შემდეგნაირად:

გაუფასურების რეზერვი 1/1/2022	(7,460)
წლის დარიცხვა	(18,041)
გაუფასურების რეზერვი 31/12/2022	(25,501)
წლის დარიცხვა	(30,032)
გაუფასურების რეზერვი 31/12/2023	(55,533)

10. ფული და ფულის ეკვივალენტები

ფული და ფულის ეკვივალენტები 2023 და 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31 დეკემბერი 2023	31 დეკემბერი 2022
ნაღდი ფული ეროვნულ ვალუტაში	-	1,155
ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკებში	83,746	34,259
სულ ფული და ფულის ეკვივალენტები	83,746	35,414

შპს „ინერტული მასალები“

ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნები

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

(ქართულ ლარში)

11. მიღებული სესხები

მიღებული სესხები 2023 და 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

გამსესხებელი	ვალუტა	სესხის გაცემის თარიღი	სესხის დაფარვის თარიღი	საპროცენტო განაკვეთი	გადასახდელი ძირი 12/31/2023	გადასახდელი პროცენტი 12/31/2023	სულ
სს თიბისი ბანკი	ლარი	5/24/2022	5/24/2024	14.50%	112,275	-	112,275
სს თიბისი ბანკი	აშშ დოლარი	7/4/2022	7/4/2024	11.38%	175,023	-	175,023
სულ					287,298	-	287,298
სესხის გრძელვადიანი ნაწილი							-
სესხის მოკლევადიანი ნაწილი							287,298
სულ სესხები							287,298

გამსესხებელი	ვალუტა	სესხის გაცემის თარიღი	სესხის დაფარვის თარიღი	საპროცენტო განაკვეთი	გადასახდელი ძირი 12/31/2022	გადასახდელი პროცენტი 12/31/2022	სულ
სს თიბისი ბანკი	ლარი	5/24/2022	5/24/2024	15.50%	354,140	-	354,140
სს თიბისი ბანკი	აშშ დოლარი	7/4/2022	7/4/2024	8.60%	452,716	-	452,716
სს თიბისი ბანკი	აშშ დოლარი	12/27/2019	3/27/2023	10.23%	44,892	-	44,892
ალექსანდრე ჭედიძე	ლარი	11/1/2022	11/1/2023	18.00%	6,200	186	6,386
სულ					857,948	186	858,134
სესხის გრძელვადიანი ნაწილი							288,118
სესხის მოკლევადიანი ნაწილი							570,016
სულ სესხები							858,134

შპს „ინტერტული მასალები“

ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნები

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

(ქართულ ლარში)

11. მიღებული სესხები (გაგრძელება)

მიღებული სესხების მოძრაობა 2023 წლის 31 დეკემბერს და 2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2023	2022
1 იანვარი	858,134	248,975
ფულადი ტრანზაქციები		
სესხის მიღება	390,200	1,067,740
სესხის ძირის გადახდა	(951,294)	(402,799)
პროცენტის გადახდა	(75,103)	(66,740)
არაფულადი ტრანზაქციები		
საკუროს სხვაობიდან მიღებული მოგება	(9,555)	(55,969)
საპროცენტო ხარჯი	74,916	66,927
31 დეკემბერი	287,298	858,134

12. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები 2023 და 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31 დეკემბერი 2023	31 დეკემბერი 2022
სავაჭრო ვალდებულებები	83,472	468,864
გადასახდელი ხელფასები	11,878	8,441
სხვა ვალდებულებები	3,150	-
სულ სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	98,500	477,305

13. მიღებული ავანსები

მიღებული ავანსები 2023 და 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31 დეკემბერი 2023	31 დეკემბერი 2022
დაკავშირებული მხარესგან მიღებული ავანსები	-	75,617
სხვა კომპანიებისაგან მიღებული ავანსები	192,718	375
სულ მიღებული ავანსები	192,718	75,992

მიღებული ავანსები წარმოიქმნება ჩვეულებრივი საოპერაციო საქმიანობის ფარგლებში.

14. ამონაგები

ამონაგები 2023 და 2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2023	2022
ნედლეულის რეალიზაციიდან	1,953,282	-
მზა პროდუქტის რეალიზაციიდან	1,324,854	991,929
სულ ამონაგები	3,278,136	991,929

შპს „ინერტული მასალები“

ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნები

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

(ქართულ ლარში)

15. რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება

რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება 2023 და 2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2023	2022
რეალიზებული წარმოებული პროდუქციის თვითღირებულება	1,075,149	704,743
რეალიზებული ნელდეულის თვითღირებულება	584,881	-
სულ რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	1,660,030	704,743

16. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯი

საერთო და ადმინისტრაციული ხარჯი 2023 და 2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2023	2022
ცვეთა და ამორტიზაცია	142,706	109,674
ხელფასები	137,699	83,265
სადაზღვევო ხარჯი	15,310	871
მივლინების ხარჯი	1,410	-
იჯარის ხარჯი	593	1,068
რემონტის ხარჯები	102	102
საგადასახადო ხარჯები	21,383	16,385
სხვა ხარჯი	17,216	6,993
სულ საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	336,419	218,358

17. მოგება კურსთაშორისო სხვაობიდან, წმინდა

მოგება კურსთაშორისო სხვაობიდან, წმინდა 2023 და 2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2023	2022
საკურსო ზარალი		
ფული და ფულის ეკვივალენტები	(3,263)	(16,776)
საკურსო მოგება		
მიღებული სესხები	9,555	55,969
სავაჭრო და სხვა ვალდებულება	39	252
სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	-	2,512
სულ მოგება კურსთაშორისო სხვაობიდან, წმინდა	6,331	41,957

შპს „ინერტული მასალები“

ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნები

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

(ქართულ ლარში)

18. არასაოპერაციო შემოსავალი

არასაოპერაციო შემოსავალი 2023 და 2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2023	2022
საიჯარო შემოსავალი	759,426	202,886
თანადაფინანსებით გათვალისწინებული თანხები	14,848	14,937
სხვა	7,416	1
სულ არასაოპერაციო შემოსავალი	781,690	217,824

*კომპანია საიჯარო შემოსავალს იღებს მანქანა-დანადგარების გაქირავების შედეგად

19. საგადასახადო ვალდებულება, წმინდა

2016 წლის ივნისში საქართველოს საგადასახადო კანონში ცვლილებები შევიდა მოგების გადასახადთან დაკავშირებით. ცვლილებები ძალაში შევიდა 2017 წლის 1 იანვრიდან და ვრცელდება საქართველოში მოქმედ ყველა კომპანიაზე, გარდა ბანკებისა, სადაზღვევო კომპანიებისა და მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა. ახალი ნორმატიული აქტების თანახმად, მოგების გადასახადით დაიბეგრება დივიდენდების სახით იმ აქციონერებზე განაწილებული მოგება, რომლებიც არიან ფიზიკური პირები ან არარეზიდენტები საქართველოში, და არა მოგება, რომელიც მიღებული იქნა არსებული ნორმატიული აქტების შესაბამისად. დივიდენდების განაწილებაზე გადასახდელი გადასახადის ოდენობა დაანგარიშდება განაწილებული წმინდა თანხიდან 15/85 განაკვეთის გამოყენებით. კომპანიებს უფლება ექნებათ ჩაითვალოს 2008-2016 წლებში მიღებული მოგებიდან განაწილებულ დივიდენდებთან დაკავშირებული მოგების გადასახადის ვალდებულება, არსებული ნორმატიული აქტების მიხედვით შესაბამისი პერიოდისთვის გადახდილი მოგების გადასახადის ოდენობით. საქართველოს რეზიდენტ კომპანიებს შორის დივიდენდების განაწილება არ დაიბეგრება მოგების გადასახადით.

კომპანიას 2023-2022 წლებში არ გამოუცხადებია და შესაბამისად არ გადაუხდია დივიდენდი.

20. ფინანსური და სხვა რისკების მართვა

რისკი თანდაყოლილი მოვლენაა კომპანიის საქმიანობისათვის, მაგრამ მისი მართვა შესაძლებელია რეგულარული ღონისძიებებით, როგორცაა რისკების იდენტიფიცირება, შეფასება და ყოველდღიური მონიტორინგი, რის შედეგადაც დგინდება რისკის ლიმიტი და იქმნება კონტროლის მექანიზმები. თითოეული პირი კომპანიაში ანგარიშვალდებულია მის პასუხისმგებლობასთან დაკავშირებულ რისკზე. კომპანიის ძირითად ფინანსურ რისკებს წარმოადგენს საკრედიტო, ლიკვიდურობის, საპროცენტო განაკვეთისა და სავალუტო რისკები, ამ რისკებთან დაკავშირებული კომპანიის რისკების მართვის პოლიტიკა განხილულია ქვემოთ.

კაპიტალის მართვის მიზნები, პოლიტიკა და მიდგომები

კომპანიამ შეიმუშავა კაპიტალის მართვის შემდეგი მიზნები, პოლიტიკა და მიდგომები იმისათვის, რათა მართოს ის რისკები, რომლებიც კაპიტალის პოზიციაზე ახდენს გავლენას.

კაპიტალის მართვის მიზნებია:

- კომპანიამ შეინარჩუნოს სტაბილურობის მოთხოვნილი დონე, შედეგად, უზრუნველყოს მომხმარებლების დაცულობა;

შპს „ინერტული მასალები“

ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნები

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

(ქართულ ლარში)

20. ფინანსური და სხვა რისკების მართვა (გაგრძელება)

კაპიტალის მართვის მიზნები, პოლიტიკა და მიდგომები (გაგრძელება)

- გაანაწილოს კაპიტალი ეფექტურად და დაეხმაროს ბიზნესს განვითარებაში, რათა უკუგებათ კაპიტალზე დააკმაყოფილოს მფლობელთა მოთხოვნები;
- შეინარჩუნოს ფინანსური მოქნილობა ლიკვიდურობის შენარჩუნებისა და კაპიტალის სხვადასხვა ბაზარზე წვდომისათვის;
- შეინარჩუნოს ფინანსური სიძლიერე ახალი ბიზნესის ზრდისა და კაპიტალის მფლობელთა დაკმაყოფილების უზრუნველყოფის მიზნით.

საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი წარმოადგენს კომპანიის ფინანსური დანაკარგების რისკს იმ შემთხვევაში, თუ მომხმარებელი ან ფინანსურ ინსტრუმენტთან დაკავშირებული მეორე მხარე არ შეასრულებს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვალდებულებებს.

ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი არის რისკი, როდესაც კომპანია დგას ფინანსური სირთულეების წინაშე ვალდებულებების დაფარვისას და მათი გადახდის ვადის დადგომის პერიოდში. კომპანია ახდენს ამ ტიპის რისკების კონტროლს ვადიანობის ანალიზის მიხედვით და განსაზღვრავს კომპანიის სტრატეგიას მომავალი ფინანსური პერიოდისთვის.

ლიკვიდურობის რისკის მართვის მიზნით, კომპანია ახდენს მომავალი ფულადი ნაკადების რეგულარულ მონიტორინგს, რომელიც აქტივების/ვალდებულებების მენეჯმენტის პროცესია.

ქვემოთ ცხრილში მოცემულია კომპანიის ფინანსური ვალდებულებების ვადიანობის ანალიზი 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, რომელიც დაფუძნებულია დარჩენილ არადისკონტირებულ სახელშეკრულებო ვალდებულებებზე. დაფარვები, რომლებიც ექვემდებარება შეტყობინების საფუძველზე ანაზღაურებას, განიხილება, თითქმის შეტყობინება დაუყოვნებლივ მოხდა, თუმცა კომპანია გამოცდილებით იმედოვნებს, რომ ბევრი მომწოდებელი ერთდროულად არ მოითხოვს ვალდებულებების დაფარვას.

კომპანიის ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ლიკვიდურობის ანალიზი 2023 წლის 31 დეკემბერი:

ფინანსური აქტივები	1 წლამდე	სულ
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	879,676	879,676
ფული და ფულის ეკვივალენტები	83,746	83,746
სულ ფინანსური აქტივები	963,422	963,422
ფინანსური ვალდებულება		
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	98,500	98,500
მიღებული სესხები	287,298	287,298
სულ ფინანსური ვალდებულებები	385,798	385,798
წმინდა ლიკვიდობა	577,624	577,624

შპს „ინერტული მასალები“

ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნები

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

(ქართულ ლარში)

20. ფინანსური და სხვა რისკების მართვა (გაგრძელება)

ლიკვიდურობის რისკი (გაგრძელება)

კომპანიის ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ლიკვიდურობის ანალიზი 2022 წლის 31 დეკემბრით:

ფინანსური აქტივები	1 წლამდე	1-5 წლამდე	სულ
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	91,200	-	91,200
ფული და ფულის ეკვივალენტები	35,414	-	35,414
სულ ფინანსური აქტივები	126,614	-	126,614
ფინანსური ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	477,305	-	477,305
მიღებული სესხები	570,016	288,118	858,134
სულ ფინანსური ვალდებულებები	1,047,321	288,118	1,335,439
წმინდა ლიკვიდობა	(920,707)	(288,118)	(1,208,825)

კომპანიის მენეჯმენტი არ იყენებს მხოლოდ დაუდისკონტირებელი ვალდებულებების ვადიანობის ანალიზს ლიკვიდობის რისკის სამართავად, არამედ იგი ახორციელებს ლიკვიდურობის სხვაობის მონიტორინგს, რომელიც ეფუძნება როგორც ფინანსური ვალდებულებების, ასევე, ფინანსური აქტივების მოსალოდნელ დაფარვის ვადებს ფინანსური აქტივების ვადიანობის ანალიზი ეფუძნება მათ საბალანსო ღირებულებას.

საბაზრო რისკი

საბაზრო რისკი არის ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულების შემცირების რისკი, საბაზრო პირობების ცვლილების შედეგად.

კომპანიის საბაზრო რისკი წარმოიშობა პროცენტის მატარებელი და უცხოურ ვალუტაში გამოხატული ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენების შედეგად. მოცემული რისკი მდგომარეობს ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულების ან მათთან დაკავშირებული მომავალი ფულადი შემოსავლების ცვლილებაში საპროცენტო განაკვეთების (საპროცენტო რისკი) და ვალუტის კურსის (სავალუტო რისკი) ცვლილებებთან კავშირში.

საპროცენტო რისკი

საპროცენტო რისკი არის რისკი (ცვლადი ღირებულებით), რომელიც დაკავშირებულია პროცენტის მატარებელ აქტივებთან - სესხებთან, მათი ცვლადი განაკვეთებიდან გამომდინარე. კომპანიას მიმდინარე პერიოდში არ გააჩნია ცვლადი საპროცენტო განაკვეთის მქონე სესხები.

სავალუტო რისკი

სავალუტო რისკი არის უცხოური ვალუტის ცვლილების შედეგად ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულების ცვლილების რისკი. სავალუტო რისკის წინაშე შეიძლება იდგეს კომპანიის ფინანსური მდგომარეობა და ფულადი სახსრების მოძრაობა.

შპს „ინერტული მასალები“

ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნები

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

(ქართულ ლარში)

20. ფინანსური და სხვა რისკების მართვა (გაგრძელება)

სავალუტო რისკი (გაგრძელება)

კომპანიის სავალუტო რისკის ანალიზი:

	ფინანსური აქტივები	ფინანსური ვალდებულებები	წმინდა პოზიცია
2023 წლის 31 დეკემბერი			
აშშ დოლარი	-	(175,023)	(175,023)
სულ	-	(175,023)	(175,023)

	ფინანსური აქტივები	ფინანსური ვალდებულებები	წმინდა პოზიცია
2022 წლის 31 დეკემბერი			
აშშ დოლარი	-	(497,607)	(497,607)
სულ	-	(497,607)	(497,607)

ქვემოთ მოცემულია აშშ დოლარის გაცვლითი კურსის ცვლილების ეფექტი:

	2023	2022
აშშ დოლარის 10% გამყარება	17,502	49,761
აშშ დოლარის 10% გაუფასურება	(17,502)	(49,761)

საოპერაციო რისკი

საოპერაციო რისკი განისაზღვრება, როგორც ფინანსური დანაკარგის რისკი, რომელიც წარმოიშობა კომპანიის შიდა პროცესების ან სისტემის არაადეკვატურობით ან ნაკლოვანებით, ან გარე მოვლენებით, რომელიც შესაძლოა მოხდეს განზრახ, მოულოდნელად ან ბუნებრივი მოვლენების შედეგად. გარე ფაქტორები მოიცავს, მაგრამ არ შემოიფარგლება ისეთი მოვლენებით, როგორიცაა თაღლითობა, წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა, და ა.შ.

საბაზრო მოვლენები როგორიცაა დეფოლტი ან ღირებულების ცვლილებები არ მოისაზრება საოპერაციო რისკებში. საოპერაციო რისკში კომპანია მოისაზრებს ასევე შესაბამისობის რისკსაც, რომელიც გულისხმობს, რომ კომპანიას შეიძლება დაეკისროს სანქციები ან გაუფუჭდეს რეპუტაცია იმ შემთხვევაში თუ მისი საქმიანობა შესაბამისობაში არ იქნება ადგილობრივ კანონმდებლობასთან.

კომპანია საოპერაციო რისკების მართვას ახორციელებს შემდეგი ღონისძიებების საფუძველზე:

- ოპერაციების მონიტორინგი და რეკონსილაცია;
- მოვალეობების ადეკვატური გადანაწილება, მათ შორის ტრანზაქციების ავტორიზაცია მიუკერძოებელი პირების მიერ;
- საკანონმდებლო მოთხოვნებთან შესაბამისობის მონიტორინგი;
- კონტროლებისა და პროცედურების დოკუმენტირება შიდა ინსტრუქციების სახით;
- საოპერაციო რისკების პერიოდული შეფასება და მათ გასანეიტრალებლად საჭირო კონტროლების და პროცედურების ადეკვატურობის ანალიზი.

შპს „ინერტული მასალები“

ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნები

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

(ქართულ ლარში)

21. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

დაკავშირებულ მხარეებთან 2023 და 2022 წლების განმავლობაში განხორციელებული ბრუნვა და 2023 და 2022 წლის 31 დეკემბრის ნაშთები იხილეთ ქვემოთ.

ამონაგები	ურთიერთობის ტიპი	2023	2022
შპს ჯიარჯი	მშობელი კომპანია	2,569,477	306,032
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	ურთიერთობის ტიპი	2023	2022
შპს ჯიარჯი	მშობელი კომპანია	1,084,937	217,429
არასაოპერაციო შემოსავალი	ურთიერთობის ტიპი	2023	2022
შპს ჯიარჯი	მშობელი კომპანია	574,564	96,483
უმაღლესი ხელმძღვანელობის ანაზღაურება	ურთიერთობის ტიპი	2023	2022
ხელფასები და თანამშრომელთა სხვა მოკლევადიანი სარგებელი		68,393	56,543
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	ურთიერთობის ტიპი	31 დეკემბერი 2023	31 დეკემბერი 2022
შპს ჯიარჯი	მშობელი კომპანია	783,816	-
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	ურთიერთობის ტიპი	31 დეკემბერი 2023	31 დეკემბერი 2022
შპს ჯიარჯი	მშობელი კომპანია	-	362,636
მიღებული ავანსები	ურთიერთობის ტიპი	31 დეკემბერი 2023	31 დეკემბერი 2022
შპს ჯიარჯი	მშობელი კომპანია	-	75,617

22. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

ეს ფინანსური ანგარიშგება დამტკიცდა გამოსაშვებად კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ 2024 წლის 27 სექტემბერი

საანგარიშგებო თარიღიდან ანგარიშგების გამოცემამდე პერიოდში, შემცირდა კომპანიის საწესდებო კაპიტალი 589,450 ლარის ოდენობით.